საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6730/01
16/07/2020

6730-01-2-202007161403

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 7 ივლისის № 10304 წერილი, რომელიც ეხება საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2 371 700 ტონა კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვების სკრინინგის განცხადებას და გაცნობებთ შემდეგს:

- ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის 2.1. ქვეპუნქტის მიხედვით, ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. შესაბამისად, დასაზუსტებელია კოდექსის რომელი დანართის და პუნქტის/ქვეპუნქტის საფუძველზეა წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილია 2371700 ტ კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვება, ხოლო გეოსაინფორმაციო პაკეტში გვ. 3 აღნიშნულია, რომ სალიცენზიო ობიექტის მარაგებია: 140100 x 10 x 1.7=2 381 700 ტ. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, წარმოდგენილი სალიცენზიო ტერიტორია მდებარეობს შპს „ჯორჯიან მანგანეზის" ლიცენზიის (№ 100330) არეალში, ხოლო საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად აღნიშნულ მონაკვეთზე შპს „ჯორჯიან მანგანეზი" არ ფიქსირდება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული და სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე